დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 68 08
25/10/2019

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით;

,,1. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისა და საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის (ბენზინი- პრემიუმი, დიზელი -ევროდიზელი) ყოველთვიური ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე (1) - 40 ლიტრი ბენზინი;

ბ) საკრებულოს კომისიები (თავმჯდომარეები (4) - 40 ლიტრი ბენზინი თითოეულს.

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (1) -40 ლიტრი დიზელი.

დ) საკრებულოს ფრაქციები (თავმჯდომარეები (4) მოადგილეები (4) - 40 ლიტრი ბენზინი თითოეულს;

ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომრის მოადგილე (1) – 40 ლიტრი დიზელი.''

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე